

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტმა პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი გამოავლინა, როგორც საკანონმდებლო, ისე საზედამხედველო პროცესის კუთხით. უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო და სხვა ფუნქციები არაერთგვაროვნად და არასისტემურადაა მოწესრიგებული, რაც ხშირ შემთხვევაში მათ სრულ ფუნქციონებას იწვევს.

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს, საქართველოს პარლამენტის მიერ ერთი მხრივ 2017 წლის ოქტომბერში მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დამტკიცება, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო სივრცის ახალ კონსტიტუციურ ნორმებთან და დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა. მათ შორის ერთი-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად საჭიროებს ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობას ესაა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს მოქმედი რეგლამენტის, რომელიც 13 წელზე მეტის ხნის წინ არის მიღებული და მასში ათეულობით ცვლილებაა განხორციელებული, კონსოლიდირებული ოფიციალური ვერსია არ არსებობს.

უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი სტატუსის, უფლებამოსილებისა და მუშაობის პროცედურების გათვალისწინებით, რეგლამენტის პროექტზე მუშაობის დროს მოდელურ საფუძვლად აღებული იქნა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, რომელიც განხილვის სტადიაშია საქართველოს პარლამენტში.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანია:

1. უმაღლესი საბჭოს უფრო მეტად ეფექტურ და ქმედით ინსტიტუციად ჩამოყალიბება;
2. საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი და ეფექტური კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობას;
3. უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესება;
4. უმაღლესი საბჭოს სტრუქტურის დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაჯანსაღებას;
5. საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხების სრულყოფა;
6. უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული რეგულაციების სისტემური ერთიანობის უზრუნველყოფა, რეგლამენტიდან გამომდინარე უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული რეგულაციების საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

რეგლამენტის პროექტით განმტკიცებულია საკანონმდებლო, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციები. უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ეფუძნება ღიაობისა და გამჭვირვალობის, საზოგადოების ჩართულობის, ანგარიშვალდებულების, შრომის განაწილების, პროპორციულობისა და სამართლიანობის საწყისებს.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და სიძლიერის ერთ-ერთი გარანტია თავად უმაღლესი საბჭოს რეგლამენტია, რომელსაც ჰყავს სპეციალური ინიციატორები (უმაღლესი საბჭოს წევრი, კომიტეტი, ფრაქცია), რომლის შექმნის პროცესი იწყება და სრულდება უმაღლეს საბჭოში, კერძოდ, მიღების შემდეგ მას ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (ნაცვლად მთავრობის თავმჯდომარისა). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაიზარდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მისაღებად საჭირო ქვორუმი და ნაცვლად არანაკლებ 7 დეპუტატისა, მის მიღებას სჭირდება არანაკლებ 11 დეპუტატის მხარდაჭერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭოს პროცედურულ ნორმებს, თავად უმაღლესი საბჭოს შიგნით მაღალი ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს.

უმაღლესი საბჭოს მოქმედი რეგლამენტისგან განსხვავებით, რომელიც XXVIII თავისგან შედგება, წარმოდგენილი პროექტის სტრუქტურა გამარტივებულია და მოიცავს მხოლოდ XIX თავს. თავები ლოგიკური თანმიმდევრობითაა დაჯგუფებული - იწყება ზოგადი დებულებებით, რასაც თან მოსდევს უმაღლესი საბჭოს წევრისა და უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ/სტრუქტურული საკითხები, უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო, საზედამხედველო თუ სხვა განსაკუთრებულ საქმიანობისთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი საბჭოს აპარატის მარეგულირებელი ნორმები, რეგლამენტის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხები, გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.

წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტში თითოეული მუხლი დასათაურებულია, რაც ამარტივებს დოკუმენტის აღქმადობას და ნორმათა ინტერპრეტაციას.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, აღმოფხვრილია როგორც რეგლამენტის შიგნით, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებით არსებული დუბლირებები და კოლიზიები. წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შექმნილია პრინციპით, რომ უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული ძირეული საკითხები უნდა იყოს მოწესრიგებული უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და არა სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი I. ზოგადი დებულებები

მოცემულ თავში განმტკიცებულია უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

არსებულ პრინციპებს ემატება გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. აღნიშნული პრინციპები პრაქტიკულ ასახვას ჰპოვებს მთლიან დოკუმენტში, კერძოდ, გაზრდილია უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციების ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება, გამარტივებულია მოქალაქეთა კომუნიკაცია უმაღლეს

საბჭოსთან ელექტრონული რესურსების გამოყენების გზით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის მისაწვდომობის მიზნით უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს შენობის შესაბამისი საჭიროებებით აღჭურვას.

უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ადგილსამყოფელად მითითებულია მისი ამჟამინდელი იურიდიული მისამართი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) გამართვა შესაძლებელია, კონკრეტული თემატიკიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს იურიდიული ადგილსამყოფლის გარეთ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტში.

ამავე თავში განსაზღვრულია რეგლამენტის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ისეთი ტერმინების განმარტება, როგორიცაა, ანგარიშვალდებული ორგანო, ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, ოპოზიცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტის განხილვის გრაფიკი, წამყვანი კომიტეტი.

ანგარიშვალდებული ორგანოსა და ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის განმარტების საჭიროება პირდაპირ უკავშირდება უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას, ამავდროს, აღნიშნულ ტერმინს ამკვიდრებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

ნოვაციას წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე ოპოზიციის ტერმინის განმარტებაც. აღნიშნული განმარტება საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ კონსტიტუციითა და რეგლამენტით ოპოზიციისთვის გათვალისწინებული პრივილეგიებით სარგებლობის უფლების მქონე პირთა წრე. ოპოზიციად ჩაითვლება უმაღლესი საბჭოს წევრთა ჯგუფი, რომელიც არ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების შესახებ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მომხრე, მანამდე, სანამ აღნიშნულ პოზიციას არ უარყოფს საჯაროდ ან წერილობით.

თავი II. უმაღლესი საბჭოს წევრი

აღნიშნული თავი მოიცავს უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან, მის უფლება-მოვალეობებთან და საქმიანობის გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, შემოთავაზებული ვერსიით უქმდება „უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი და იქ მოცემული საკითხები ერთიანდება რეგლამენტის მოცემულ თავში. ვინაიდან უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს პირველადი და უმნიშვნელოვანესი სუბიექტია, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება უმაღლესი საბჭოს ხარისხიან მუშაობას, შესაბამისად, ცალკე კანონით ინდემნიტეტის საკითხის მოწესრიგება, სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორია.

ამ თავით რეგულირდება უმაღლესი საბჭოს წევრის გასამრჯელოს საკითხიც. უმაღლესი საბჭოს წევრის და უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის თანამდებობრივ სარგოს უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №3 დანართის №3 ცხრილის მიხედვით დადგენილი შესაბამისი ზედა ზღვრის კოეფიციენტის

ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ აისახება უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხაში.

ამავე თავში ასევე მოცემულია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი III. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე

მოცემული თავი განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევისა და გათავისუფლების წესებს, მათ უფლებამოსილებებს.

კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარეობა, რომელიც ძირითადად უკავშირდება კოლეგიური სხდომების გაძღოლას და სხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტას, მოითხოვს გარკვეულ მოქმედების თავისუფლებას. იმისთვის, რომ ეს უფლებამოსილებები განხორციელდეს ჯეროვნად, წარმოდგენილი რეგლამენტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კონსტიტუციით და რეგლამენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამართლიანად და მიუკერძოებლად.

მოცემულ თავშია რეგულირებული ხაზინადართა საბჭოს საკითხიც, ვინაიდან ის წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს და დაკავშირებულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან. ხაზინადართა საბჭოს და აგრეთვე უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს საფინანსო საქმიანობას. საბჭოს წევრთა რაოდენობა და კვოტები განისაზღვრება ფრაქციათა და უფრაქციო უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად. მნიშვნელოვანია, რომ მთელ რეგლამენტში გასწორდა ხაზინადართა საბჭოს ფუნქციასთან დაკავშირებული დებულებები - განისაზღვრა რომ საბჭო, როგორც თავმჯდომარის სათათბირო ორგანო თავმჯდომარეს წარუდგენს თავის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებებს, ხოლო შემდეგ, თავმჯდომარე, რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავის გადაწყვეტილებებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

თავი IV. უმაღლესი საბჭოს ბიურო

მოცემული თავი განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს. ბიუროს შექმნის მიზანი უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებაა. ბიუროს შემადგენლობა განისაზღვრება კონსტიტუციით.

უმაღლესი საბჭოს შეუძლია გააუქმოს უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება ან ცვლილება შეიტანოს მასში პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

თავი V. უმაღლესი საბჭოს კომიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიები შეიცვალა კომიტეტებით.

რეგლამენტით დგინდება, რომ კომიტეტი უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სუბიექტია, რომლის მეშვეობითაც უმაღლესი საბჭო ახორციელებს საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობას და

კონტროლს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის ზედამხედველობას. კომიტეტის სხდომების გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავს კომიტეტი.

საკომიტეტო მუშაობის გამჭვირვალობისა და არსებული საკითხების ეფექტიანად განხილვის მიზნით, აღნიშნულ თავში მოცემულია კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის კომიტეტის წევრებისათვის მიწოდების ვადები, ასევე კომიტეტის სხდომის შესახებ ინფორმაციისა და დღის წესრიგის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება. კომიტეტის სხდომამდე დღის წესრიგიდან საკითხის ამოღება ან ახალი საკითხის შეტანა შესაძლებელია კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

სრულყოფილი პოლიტიკური ციკლის უზრუნველყოფის მიზნით, კომიტეტი აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ამ მიზნით შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების ეფექტიანობას, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს და იღებს ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

კომიტეტების თავმჯდომარეები საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე უმაღლეს საბჭოს წარუდგენენ კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის წერილობით ანგარიშებს. ანგარიში განიხილება საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ კომიტეტები დარგობრივად ზედამხედველობენ სხვადასხვა აღმასრულებელ უწყებებს, რეგლამენტის მოცემულ თავში დადგენილია კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრების წესი. მთავრობის წევრი, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. აღნიშნული პირი კომიტეტის სხდომას სავალდებულო წესით უნდა დაესწროს კომიტეტის არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნის საფუძველზე.

თავი VI. ფრაქცია

აღნიშნული თავი არეგულირებს ფრაქციის სტატუსს, მისი შექმნისა და გაუქმების წესს, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის გარანტიებს.

ფრაქცია არის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პოლიტიკური სუბიექტი, რომელშიც უმაღლესი საბჭოს წევრები ერთიანდებიან საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრაქციის პირადი, პროფესიული, ადგილობრივი, რეგიონული ან რელიგიური ნიშნით შექმნა აკრძალულია.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით ფრაქციასთან დაკავშირებული ცვლილებები ასახულია წარმოდგენილ პროექტში. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება არ აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია, ამასთან, უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს გაერთიანდეს მხოლოდ იმ ფრაქციაში, რომელიც შექმნილია მისი წარმდგენი პოლიტიკური პარტიის წევრთა გაერთიანებით. თუმცა, თავისთავად ეს ცვლილება ამოქმედდება უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნების შედეგად

არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ. მანამდე მოქმედი დებულებები კი მოცემულია ახალი რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში.

თავი VII. დროებითი კომისია

დროებითი კომისიის ინსტიტუტი ნოვაციას აჭარის სინამდვილეში, რომელიც ასევე განმტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით. მოცემულ თავში განსაზღვრულია დროებითი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესები.

დროებითი კომისიის შექმნის შესახებ საკითხის ინიცირების უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ 3 კაციან ჯგუფს. დადგენილების პროექტი უნდა შეიცავდეს კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ სათანადო დასაბუთებას.

დროებითი კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით. მოცემული კენჭისყრისთვის უმაღლესი საბჭოს ოპოზიციის ინტერესების სასარგებლოდ გათვალისწინებულია განსხვავებული მიდგომა, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისას მოწინააღმდეგეთა ხმები მხედველობაში არ მიიღება, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავარია შექმნის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭიროს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთმა მესამედმა და არ აქვს მნიშვნელობა უმაღლესი საბჭოს რამდენი წევრი მისცემს ხმას წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ დღეს მოქმედი რეგლამენტისგან განსხვავებით სრულიად მოხსნილია ის ბარიერები, რომლებიც დროებითი კომისიის მსგავსი მექანიზმის - საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შექმნის პროცედურულ დაბრკოლებებს ქმნიდა. ნაცვლად ორი კენჭისყრისა, დატოვებულია მხოლოდ ერთი კენჭისყრა. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურუდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით დადგინდება კომისიის წევრთა რაოდენობა და კვოტები.

დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციებში გაერთიანებულ უმაღლესი საბჭოს წევრთა და იმ უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, ამასთან, კომისიაში ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყვნენ თითო წევრით მაინც და კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, რაც მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს ოპოზიციისთვის და გამომდინარეობს კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

დროებითი კომისია შეიძლება შეიქმნას არა უმეტეს 3 თვის ვადით. ეს ვადა რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს მიერ შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. კომისიის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

თავი VIII. უმაღლესი საბჭოს სათათბირო ორგანოები

უმაღლესი საბჭოში იქმნება უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში უმაღლესი საბჭოს წინაშე მდგარი განგრძობადი, სისტემური და მდგრადი პოლიტიკის შემუშავებასა და კოორდინაციას.

თავი IX. უმაღლესი საბჭოს სესია და სხდომა

მოცემული თავი აერთიანებს უმაღლესი საბჭოს სესიისთვის და სხდომებისთვის გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომლებიც საერთოა და გამოიყენება უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა საქმიანობის ფარგლებში. რეგლამენტში ზუსტდება, რომ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი მისი მაღალი ღირებულებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე შესრულებულ იქნება მორიგი სესიის გახსნისას და დახურვისას, ასევე ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს არანაკლებ ორი მესამედი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ.

უმაღლესი საბჭოს სასესიო მუშაობის განუყოფელი ნაწილი ხდება მინისტრის საათი, რაც გულისხმობს, მთავრობის ცალკეული წევრის, გარდა მთავრობის თავმჯდომარისა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოსვლას. მოხსენება, ასევე, უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც დადგენილი წესით მინისტრის წინაშე იქნება დასმული, კერძოდ, მთავრობის შესაბამის წევრს უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე არაუგვიანეს 10 დღისა ეგზავნება კომიტეტების მიერ შედგენილი საკითხები, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს მინისტრის საათი. მინისტრი უფლებამოსილია არ ისაუბროს ამ ვადის დაგვიანებით მიწოდებულ საკითხებზე. მინისტრის სიტყვით გამოსვლას თან მოსდევს დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი, რის შემდეგაც იმართება პოლიტიკური დებატები.

უმაღლესი საბჭო ვალდებულია მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს მოთხოვნისთანავე მოუსმინოს. აღნიშნული პირი ვალდებულია უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვამდე არაუგვიანეს 3 დღისა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს ის საკითხები, რომლებზედაც მას სურს უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვა, რაც ეგზავნება ფრაქციებს, ასევე უმაღლესი საბჭოს წევრებს. პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის მიმართვის დასრულების შემდეგ, თანამდებობის პირის გამოსვლა განიხილება და კითხვა-პასუხი მიმდინარეობს რეგლამენტით დადგენილი კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის წესის შესაბამისად.

პლენარული სხდომის დღის წესრიგში საკითხების არასამართლიანად გადანაწილების თავიდან აცილების მიზნით, ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრს, უფლება აქვს, ყოველი თვის პლენარულ სხდომაზე, რეგლამენტით დადგენილი წესით მოითხოვოს მის მიერ ინიცირებული კანონის ან დადგენილების პროექტის ან უმაღლესი საბჭოს სხვა აქტის განსახილველად განსაზღვრული დროის გამოყოფა. უმაღლესი საბჭოს ბიურო ვალდებულია საკითხი რეგლამენტით დადგენილი წესით შეიტანოს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

უმაღლესი საბჭოს წევრთა მხრიდან სხდომების საპატიო გაცდენის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამორიცხვის მიზნით, დაკონკრეტებულია საპატიო გაცდენის შემთხვევები. უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა (დადასტურებული საავადმყოფო ფურცლით), სამსახურებრივი მივლინება, ოჯახის წევრის (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა) დაბადება, გარდაცვალება, ავადმყოფობა (დადასტურებული საავადმყოფო ფურცლით). უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ფრაქცია, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობაზე (ბოიკოტი). ამის

თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით აგრეთვე, გაცდენილად არ ეთვლება უმაღლეს საბჭოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის გამო, უმაღლესი საბჭოს წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

მოცემულ თავში განსაზღვრულია პოლიტიკური დებატების გამართვის ერთიანი წესი, რომელიც რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა შემთხვევების დროს სტანდარტულად გამოიყენება. დებატებისას სიტყვით გამოსვლის დრო პროპორციულად და სამართლიანადაა გადანაწილებული ფრაქციებსა და თითოეულ განსხვავებული აზრის გამოთქმის მსურველ უმაღლესი საბჭოს წევრებზე.

უმაღლესი საბჭოს სხდომის, გარდა რიგგარეშე სხდომისა/სესიისა, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს წევრებს, ეთმობათ 30 წუთი განცხადებებისათვის. აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, გამომსვლელების რაოდენობის შესაბამისად, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 30 წუთისა. უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრის განცხადების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. გამოყოფილი დროის გაზრდა დასაშვებია სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, არა უმეტეს 2 წუთისა.

თავი X. საკანონმდებლო პროცესი

აღნიშნულ თავში თავმოყრილია კანონშემოქმედებითი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები – საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების, სამი მოსმენით განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესები და საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით საკანონმდებლო პროცესის ვადები გათვლილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არა ნაჩქარევი, არამედ კარგად გათვლილი და ხარისხიანი კანონმდებლობის მიღება.

კანონპროექტის პირველი მოსმენით საკომიტეტო განხილვამდე, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტმა შეიძლება წარადგინოს ალტერნატიული კანონპროექტი. ალტერნატიული კანონპროექტი წამყვანი კომიტეტის სხდომაზე განიხილება ძირითად კანონპროექტთან ერთად. კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე კომიტეტის, ფრაქციის და უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ შეიძლება წარდგენილ იქნეს ალტერნატიული წინადადება, შესაბამისი კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვის წინა დღის 18:00 საათამდე. დგინდება, რომ ალტერნატიული წინადადებები, იმისათვის, რომ მათ მოჰყვეთ რეგლამენტით გათვალისწინებული შედეგი, აუცილებლად წერილობითი სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

უმაღლესი საბჭოს მიერ კანონპროექტის სამი მოსმენით განხილვის წესი მაქსიმალურად სინქრონიზირებულია. განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის წესი, რადგანაც მოცემული წესი გამოიყენება რეგლამენტით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხის განხილვის დროსაც.

პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას, აუცილებლობის შემთხვევაში, მომხსენებლის ან თანამომხსენებლის მოტივირებული წინადადების საფუძველზე უმაღლესმა საბჭომ შეიძლება დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება მესამე მოსმენიდან კანონპროექტის მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის ან მეორე მოსმენიდან პირველი მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის დაბრუნების შესახებ. მოქმედი რეგლამენტით აღნიშნული შესაძლებლობა არ არსებობს.

რეგლამენტის პროექტით დადგენილია საკანონმდებლო წინადადებების უმაღლესი საბჭოსათვის როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შემთხვევაში გათვალისწინებულია ხელმოწერების ელექტრონულად შეგროვების წესიც.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, კანონპროექტის განმარტებით ბარათთან დაკავშირებულ საკითხებს აღარ ეხება რეგლამენტი და მოცემული ნორმები ასახული იქნება მხოლოდ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიასთან და ზოგადად ამ პროცესთან დაკავშირებით რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული ნორმები. კერძოდ:

- საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის და კონსტიტუციური კანონის პროექტების განხილვის მიზნით, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, მართავს შეხვედრებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში.

- საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შეხვედრების დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღისა შეხვედრების ჩატარების გრაფიკი ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. შეხვედრების ჩატარების გრაფიკში განხორციელებული ცვლილებები დამატებით ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, შესაბამისი შეხვედრის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

- საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შეხვედრაზე მოქალაქეთა მოსაზრებების დაფიქსირება ხდება ზეპირად ან/და წერილობით. მოქალაქეთა ზეპირი მოსაზრებები აისახება შეხვედრის ოქმში და საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელ ოქმში, ხოლო საყოველთაო-სახალხო განხილვისას წერილობით ან/და ელექტრონულად წარდგენილი მოსაზრებები დაერთვის შემაჯამებელ ოქმს.

- საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმი საყოველთაო-სახალხო განხილვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

თავი XI. უმაღლესი საბჭოს დადგენილება

მოცემული თავით რეგულირდება უმაღლესი საბჭოს დადგენილების განხილვისა და მიღების წესები. აღნიშნული თავის ცალკე გამოყოფა, ახალი რეგლამენტის პროექტის ერთ-ერთი სიახლეა. ახალი რეგლამენტით უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილების აქტს -

უმაღლესი საბჭოს დადგენილებას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. დღეს მოქმედ რეგლამენტში ფაქტობრივად ჩაკარგულია მისი გამოყენების არეალი და დანიშნულება.

მკაფიოდ მიეთითება, რომ უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილებით. ასევე, უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომლებიც მოწესრიგებული არ არის რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტით, უმაღლესი საბჭო წყვეტს დადგენილებით. დადგენილება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ნორმატიული ხასიათის.

უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი პლენარულ სხდომაზე განიხილება ერთი მოსმენით, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით. უმაღლესი საბჭოს ნორმატიული ხასიათის დადგენილების პროექტი, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

თავი XII. უმაღლესი საბჭოს მონაწილეობა რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებაში

აღნიშნული თავით რეგულირდება რესპუბლიკური ბიუჯეტის მიღებისა და მასში ცვლილების შეტანის საკითხები.

ახალი რეგლამენტის ერთ-ერთი სიახლე და უმაღლესი საბჭოს გაძლიერების ერთ-ერთი მექანიზმია, ის, რომ უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში, რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცესს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი, რომლის როლი და დანიშნულება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიხედვით გაზრდილია. უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტზე სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებს, წინადადებებსა და მოსაზრებებს განიხილავს, აფასებს და შეიმუშავებს ერთიან საბოლოო დასკვნას.

ხარისხიანი საბიუჯეტო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, რეგლამენტის პროექტით ცალკე თავი ეთმობა რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის წესს.

თავი XIII. უმაღლესი საბჭოს საგარეო ურთიერთობები

მოცემული თავიც სიახლეს წარმოადგენს და არეგულირებს უმაღლესი საბჭოს საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს. პროექტის თანახმად:

- უმაღლესი საბჭოს აქვს ოფიციალური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების რეგიონების წარმომადგენელობით ორგანოებთან. აღნიშნულ ურთიერთობებში უმაღლესი საბჭოს უმაღლესი წარმომადგენელია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

- საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ დელეგაციებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – მისი მოადგილე ან უმაღლესი საბჭოს წევრი.

- უმაღლესი საბჭოს წევრები საზღვარგარეთ სამსახურებრივი ვიზიტის შესახებ, ხოლო უმაღლესი საბჭოს ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელი უმაღლესი საბჭოს დელეგაციის საზღვარგარეთ ვიზიტისა და იქ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ

ანგარიშს, ვიზიტის დამთავრებიდან არაუგვიანეს 20 დღისა წარუდგენენ უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს სახელით საზღვარგარეთის ქვეყნების რეგიონების წარმომადგენლობით ორგანოებთან დადოს შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

თავი XIV. უმაღლესი საბჭოს ზედამხედველობა, კონტროლი და ანგარიშვალდებულება

უმაღლესი საბჭოს ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტის გაძლიერება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის ძირეულ მიზანს და გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული თავი მოიცავს არსებულ, მაგრამ დახვეწილ და ასევე, ნოვაციურ ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

უმაღლესი საბჭოს ზედამხედველობის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ მოცემული თავით. ამ მიზანს ემსახურება ასევე რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული სხვა რეგულაციებიც, მაგალითად, მინისტრის საათი, მთავრობის წევრის და სხვა თანამდებობის პირის პლენარულ სხდომაზე მოსმენის წესი, კომიტეტის სხდომაზე შესაბამისი თანამდებობის პირის სავალდებულოდ დასწრების წესი, უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულებასა და კანონქვემდებარე საქმიანობაზე კონტროლი.

უმაღლესი საბჭოს წევრისთვის საზედამხედველო ფუნქციის გამოყენების ინდივიდუალურ მექანიზმს წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა. ის უფლებამოსილია კითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, მთავრობის წევრს, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა. კითხვა უნდა იყოს წერილობითი. კითხვის შინაარსი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს მაქსიმალურად კონკრეტულად და მკაფიოდ და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. კითხვაზე პასუხი უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ გადაეცემა კითხვის ავტორს და აგრეთვე ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე, პასუხისთვის დადგენილი ვადის გადაცილების აღნიშვნით (ასეთი გადაცილების შემთხვევაში).

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს ინტერპელაციის წესი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ შემოიღო, ხოლო ახალი რეგლამენტის დანიშნულებაა ამ წესის სწორი იმპლემენტაცია, იმისათვის რომ ხარისხიან და ეფექტიან საზედამხედველო ინსტრუმენტად ჩამოყალიბდეს. ინტერპელაციის დროს უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაცრიან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს. შეკითხვა უნდა იყოს წერილობითი, მისი შინაარსი უნდა იყოს კონკრეტული და შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. შეკითხვის ადრესატები ვალდებული არიან შეკითხვას პირადად უპასუხონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარუდგინონ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას. რეგლამენტის ახალი ჩანაწერის მიხედვით ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი უმაღლეს საბჭოში წარსდგება როგორც წესი ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში პლენარული სხდომის დღეს და

უპასუხებს იმ შეკითხვებს, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არაუგვიანეს 10 დღისა.

მნიშვნელოვანია რეგლამენტის ჩანაწერის მზადყოფნა იმისათვის, რომ ინტერპელაციის წესით დასმული არცერთი შეკითხვა არ დარჩეს პლენარულ სხდომაზე უპასუხოდ. ამავდროულად გასათვალისწინებელია თავად ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, რომლის მიხედვითაც, როგორც წესი, მისი გამოყენება არ ხდება რუტინულად. მას ძირითადად იყენებენ ადრესატის მიმართ კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემების არსებობის დროს.

რეგლამენტის ახალი რედაქციით დადგენილია, რომ პლენარულ სხდომაზე შეკითხვის ადრესატის მიერ სიტყვით გამოსვლის შემდეგ იმართება დამაზუსტებელი კითხვა-პასუხი შეკითხვის ავტორსა და ადრესატს შორის, რასაც ავტომატურად თან მოსდევს დებატები, შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული წესით. დებატებისა და ადრესატის დასკვნითი გამოსვლის დასრულების შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკისათვის ნოვაციას წარმოადგენს ის რომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ. ანგარიში უმაღლეს საბჭოში წარმოდგენისთანავე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ გადაეცემა კომიტეტებს, ფრაქციებს და უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს. ანგარიში ასევე ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენის ზუსტ დროს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიურო მთავრობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ მთავრობის საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის წარმოდგენის დასრულების შემდეგ, მისი განხილვა გრძელდება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის პროცედურის შესაბამისად. განხილვის შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რეკომენდაცია ან სხვა დადგენილება.

აღნიშნულ თავში ახლებურადაა მოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებისა და მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეგულაციები, რომელიც შესაბამისობაშია და გამომდინარეობს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან.

აღნიშნული თავი, ასევე, მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშისა და რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის წესებს.

ამავე თავში კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის პროცედურებისა და წესის განსაზღვრა. აღნიშნული წესის რეგლამენტში არსებობის გამო, უმაღლეს საბჭოს 2017-2018 წლებში მოუწია ცალკე დადგენილების მიღება, რომლითაც განსაზღვრა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის უმაღლეს საბჭოში განხილვის პროცედურები. აღნიშნული თავის თანახმად, ბიურო

ასახელებს წამყავნ კომიტეტს, რომელიც ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში იწვევს კომიტეტის სხდომას და ანგარიშთან ერთად განიხილავს კომიტეტების და ფრაქციების შენიშვნებს, ამზადებს დასკვნას და განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვა სავალდებულოა, თუ შესაბამისი კანონით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ორგანოს დაკომპლექტებაში უმაღლესი საბჭოს მონაწილეობა. ანგარიშის განხილვის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭო ცნობად იღებს წარმოდგენილ ანგარიშს ან უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება.

თავი XV. განსაკუთრებული პროცედურები

მოცემული თავით რეგულირდება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირების საკითხები.

აღნიშნული თავი განსაზღვრავს მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებსაც. უმაღლესი საბჭოს წევრი ამომრჩევლებთან შეხვედრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას აწვდის შესაბამის კომიტეტს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას 3 თვეში ერთხელ აანალიზებს და რეაგირების შედეგებს აცნობებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს წევრები, კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს სხვა სუბიექტები ვალდებული არიან განიხილონ დაინტერესებული პირების წერილები და განცხადებები და პასუხი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აცნობონ ავტორს 1 თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი XVI. საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული თანამდებობის პირების არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა)

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული თანამდებობის პირის გამწესებას გარკვეული თავისებურებები გააჩნია, მოცემული თავი შემოღებისდაგვარად აჯგუფებს უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე გასამწესებელ პირთა არჩევის მსგავს წესებს.

თანამდებობის პირთა განწესებისას მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს ბიუროს მიერ განსაზღვრული წამყვანი კომიტეტი, რომელიც ადგენს წარმოდგენილი კანდიდატების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამ მიზნით, კომიტეტი მოიძიებს/გადაამოწმებს კანდიდატებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, მათ ბიოგრაფიულ ცნობებს, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ ინფორმაციას. თავის მხრივ, თავად კანდიდატები ან მათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან კომიტეტს მიაწოდონ მათ შესახებ არსებული ინფორმაცია, სრულყოფილად. კომიტეტი შეიმუშავებს დასკვნას. დასკვნის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, კომიტეტი დასკვნას იღებს ასევე ფარული კენჭისყრით. კომიტეტის დასკვნა უნდა შეიცავდეს კომიტეტის რეკომენდაციას რეგლამენტის თანამდებობის პირ(ებ)ის კანდიდატურის მიმართ. პლენარულ სხდომაზე უმაღლესი საბჭო კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად იხილავს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში როგორც წესი ასევე უსმენს თითოეულ კანდიდატს.

თავი XVII. უმაღლესი საბჭოს აპარატი და დაცვა

საკანონმდებლო ტექნიკის გათვალისწინებით, მოცემულ თავში თავმოყრილია უმაღლესი საბჭოს აპარატთან და ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

რეგლამენტი თავისუფლდება უმაღლესი საბჭოს აპარატთან დაკავშირებული ზედმეტი დებულებებისგან - აღნიშნული საკითხების რეგულირება მოხდება უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით.

თავი XVIII. პასუხისმგებლობა რეგლამენტის დარღვევისთვის

რეგლამენტის დარღვევისათვის უმაღლესი საბჭოს წევრის მიმართ დაწესებულია ზემოქმედების შემდეგი ფორმები: ა) სხდომაზე სიტყვის ჩამორთმევა; ბ) გაფრთხილება; გ) სხდომათა დარბაზის დატოვებინება; დ) ხელფასის დაკავება. აქედან, ხელფასის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო სხვა დანარჩენზე პლენარული თუ კომიტეტის სხდომის თავმჯდომარეს. უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც გამოიყენეს ხელფასის დაკავების ზომა, უფლება აქვს, წერილობით შეიტანოს დასაბუთებული პროტესტი, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

გაცდენებთან დაკავშირებით რეგლამენტის პროექტში გადმოტანილია უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წელს მიღებული რეგულაციები.

თავი XIX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

კონსტიტუციის ახალი რედაქცია და უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით მასში არსებული რეგულაციების სხვადასხვა დროს ამოქმედების დათქმები, საჭიროს ხდის რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში გარკვეული დროებითი რეგულაციის დადგენას.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

რეგლამენტის პროექტი მის ინიცირებამდე მოსაზრებების წარმოსადგენად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ ოფიციალურად გაეგზავნა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და დემოკრატიის ინსტიტუტს.

პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარმოდგენილი აქვს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ხოლო საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ მოსაზრებები წარმოდგენილი იქნება პროექტის კომიტეტებში განხილვის დროს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ნინო ჩხეტია.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია, მერაბ კარანაძე, ირაკლი ჭეიშვილი, დავით ბაციკაძე.